ამის შემდეგ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვამ ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენების პრობლემის გადაჭრისათვის თავისი გამოხატულება პოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1972 წლის სექტემბრის დადგენილებით „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით „ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

ამ აქტებს საფუძველად უდევს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებისა და დაცვისადმი არა მარტო ეკონომიური, არამედ კომპლექსური მიდგომის პრინციპი. ცნობილია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან და მინერალური ნედლეულის მოპოვების გაფართოებასთან ერთად იზრდება ბუნებაზე საზოგადოების გლობალური ზეგავლენის მასშტაბები. ამიტომ წიაღის გამოყენების საკითხი განუხრელად არის დაკავშირებული ბუნებრივი გარემოს დაცვის საერთო პრობლემასთან. ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნიკის ცვლილებებმა საზოგადოებას დაუსახეს ბუნების დაცვის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ამოცანა. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას რომ შეეხო, ამხანაგმა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „ვახორციელებთ რა ღონისძიებებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ყოველწინიერად უნდა ვეცადოთ, რომ იგი შეეფხოთ მზრუნველ დამოკიდებულებას ბუნებრივი რესურსებისადმი, არ გადავაქციოთ ჰაერისა და წყლის სიბინძურე ბუნებისა, მიწის გამოფიტვის წყაროდ. არა მარტო ჩვენ, არამედ მომავალ თაობებსაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ყველა სიკეთით, რომელსაც გვაძლევს ჩვენი სამშობლოს მშვენიერი ბუნება“.[1]

წიაღის დაცვის დიდმნიშვნელოვანი პრობლემის განხორციელების გზაზე ახალი ნაბიჯი გადადგა, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ 1975 წლის 9 ივლისს მიიღო დადგენილება „წიაღის დაცვის შემდგომი გაძლიერების და სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონის საფუძვლები, რომლის შესაბამისად შემუშავდა და დღევანდელი სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წიაღის კოდექსის პროექტი.

წიაღის კანონმდებლობის შექმნა სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მოთხოვნილებებთან არის ნაკარნახევი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში წიაღში მხოლოდ სასარგებლო წიაღისეული ითვლებოდა ძვირფასად. ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა დედამიწის სიღრმეების გამოყენება ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულს მოპოვებასთან არ არის დაკავშირებული. ბუნებრივია, რომ გაიზარდა მრეწველობის მომპოვებელი და არამომპოვებელი დარგების ინტერესების დაპირისპირების შემთხვევებიც. წიაღის ექსპლოატაციასს ხშირად წარმოიშვება დავა თვით არამომპოვებელი დარგის შიგნითაც. ზოგჯერ სასარგებლო წიაღისეულის მარაგს აზიანებენ საწარმოება და ორგანიზაციები, რომლებიც მიწისქვეშა სიერცეს იყენებენ მხოლოდ როგორც საოპერაციო ბაზისს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება სახალხო მეურნეობის არამომპოვებელი დარგების იმ საქმიანობის დეტალური რეგლამენტაცია, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვისა და მოპოვების უფლებრივ რეგულირებასთან.

ამხანაგო დეპუტატებო!

განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წიაღის კოდექსის პროექტის დამუშავებაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, დაწესებულებები და სამოთ-მომპოვებელი საწარმოები. ის მთლიანად შეესაბამება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძვლებს. ამასთანავე იგი ავითარებს ღებულებებს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას განეკუთვნება. და ამ ნორმებს, რომლებიც ასახავენ სასარგებლო წიაღისეულის ეამოყენების თავისებურებებს. განსახილველი კანონპროექტი ითვალსწინებს აგრეთვე კოორდინაციის აღრე მიღებული მიწისა და წყლის კოდექსების ნორმებთან.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წიაღის კოდექსის პროექტი შედგება პრეამბულისა და თერმეტი კარისაგან, რომლებიც 90 მუხლს შეიცავს. გამოყენების გასაადვილებლად თვითეული მუხლსა და კარს თავისი სათაური აქვს, პროექტში ზუსტად და ნათლად არის ჩამოყალიბებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წიაღის კანონმდებლობის ამოცანები.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების წესსა და პირობებს. აღნიშნული საკითხისადმი დიდი ყურადღება ჯერ ერთი იმით ახასიათებს, რომ ისინი მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობის ობიექტია, და მეორეც იმითაც, რომ სასარგებლო წიაღისეულს დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისა და ადგილობრივი მეურნეობის განვითარებისათვის.

პირველ კარში, რომელიც 4 თავისაგან შედგება, ჩამოყალიბებულია ძირითადი ღებულებები, რომლებიც განსაზღვრავს წიაღის კანონმდებლობის ამოცანებს. ეს ამოცანებია მინერალურ ნედლეულზე მოთხოვნილებისა და სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის წიაღის რაციონალური, კომპლექსური გამოყენების სამართლებრივი და წიაღით სარგებლობისას სამეშოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამ დარგში საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა და კანონების განმტკიცება.

შემდეგ კოდექსის პროექტში განმტკიცებულია ბრინციპული ღებულებები წიაღის სახელმწიფო საკუთრების უფლების, წიაღის, ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ და განსაზღვრულია სსრ კავშირის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კომპეტენცია სამთო ურთიერთობის მოწესრიგებაში დარგში.

პროექტის ამავე თავში ჩამოთვლილია წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვა-გამგეობისათვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები. ჩამოყალიბებულია წიაღით მოსარგებლეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომპეტენციას წიაღის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხაზით (პროექტის მე-11 მუხლი). კოდექსში აგვლილბრივი საბჭოების აღმასკომების კომპეტენციის განსაზღვრა ერთი მხრივ ასახავს საბჭოების როლის ამაღლებას სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას წიაღის კანონმდებლობის დაცვისათვის და ამ საქმეში თავიანთი ფუნქციების სწორად განხორციელებას.

პროექტში განსაზღვრულია წიაღით მოსარგებლეთა უფლებამოვალეობები (პირველი კარის III თავი), აღნიშნულია, რომ წიაღით სარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს იმ მიზნების შესაბამისად, რისთვისაც იგი განკუთვნილია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს წიაღის სრული გეოლოგიური შესწავლა და რაციონალური გამოყენება. წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებულ სამეშოთა წარმოება უნდა ხდებოდეს ატმოსფერული ჰაერის, მიწების, ტყის, წყლის, ნაკრძალების, ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვის გათვალისწინებით.

(დასასრული მე-3 გვ.).

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, გვ. 74.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

ჩვენ ერთად მეგდივართ საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალური მიმართულებით. და სავსებით კანონზომიერია, რომ ერთიანულ მეცადინეობასთან ერთად ჩვენი წარმატებების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ძმური ურთიერთმოკმედება, ბუნებრივი წყობილი — ანგარიში გაუწევ არა მარტო საკუთარ ინტერესებს, არამედ შენი სოციალისტური მეგობრების ინტერესებსაც.

აი ამ საფუძველზე მტკიცდება ჯარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში გაერთიანებულ სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირი. ეს არის საფუძველი ჩვენი, როგორც მე მგონია, და თქვენი საერთო მისწრაფებისა — შევაკავშიროთ მსოფლიოს ყველა სოციალისტური ქვეყანა.

მინდა კიდევ მოგახსენოთ, ბატივცემულო რუმინელო მეგობრებო, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში დიდად ვაფასებთ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკასთან თანამშრომლობას, როცა იგი გვიჭერს ხელმეგ, და ვფიქრობთ, რომ რაც უფრო მეტად გვექნება ასეთი თანამშრომლობა, მით უკეთესი მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის, ჩვენი საერთო მიზნებისა და იდეალებისათვის.

ჩვენ და რუმინელმა ამხანაგებმა კარგად ვითანამშრომლეთ წელს ევროპის კომპარტიების კონფერენციის საქმიანობაში. ჩვენ კარგად ვითანამშრომლეთ ახლაც, ნიშნავ ბერლინის კონფერენციის დიდი წვლილი კომუნისტური პარტიების თანამშრომლობის გაღრმავებაში, მათ შორის ურთიერთობის ახალი პრინციპების დამკვიდრებაში. ჩვენი პარტია განმტკიცებას აკრედეს ურთიერთობას სოციალისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან, მთელი მსოფლიოს სხვა პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებთან ჩვენს პლანეტაზე უკეთესი და უფრო სამართლიანი სამყაროს აშენებისათვის ბრძოლაში.

ბატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ!

დასასრულ ერთხელ კიდევ გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ თქვენ ინიციატივა ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის პარტიებისა და ხალხების მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებას, რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ბატივცემულო ამხანაგებო, გთავაზობთ სადღეგრძელოს:

— დღეგრძელი იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელმძღვანელი, ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი!

სვებედნიერნი იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების თანამშრომლობასა და მეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალიზმსა და კომუნიზმს, რომ ჩვენს ქვეყანაში ნავთობის მოპოვება წარმოებს ისეთი პროგრესული მეთოდებით, რომლებიც საშვებით გამორიცხავენ გარემოს აბინძურებას.

ამიტომ საჭიროა ახლავე ეფექტიანად ეკრსპლუატაციის ნავთობის მრეწველობისათვის მიწის გადაცემით ამომწურული ნადანაკარგი და გამოუყენებელი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისა და ბუნების დაცვის მნიშვნელოვანი რეზერვები.

სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, აგრალმრეწველობის სამინისტრო, მშენებლობის სამინისტრო არ ახორციელებენ რეკულტივაციის სამუშაოებს და ფრაფალად ან ულტრუნველ მიწის ნაკვეთებს წანაწილდენ მოსარგებლეებს. არასრულად მონაცემები, რომ ულტივაციის სამუშაოები შესრულებულია 1.080 ჰექტარ გამოშუშავებულ მიწის ფართობზე.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საჭიროა უფრო მეტი მზრუნველობიდან და ყაირათიანობით ვეკიდებოდეთ ჩვენი რესპუბლიკის მიწის საკარგეულებსა და მინერალურ რესურსებს.

ამხანაგო დეპუტატებო!

ეკონომიკის შემდგომი განვითარება, ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს. გ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ყაირათიანად და კულტურულად უნდა მოვეკიდოთ ბუნებრივ სიმდიდრეს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი ნედლეულის წყაროები რომ შევინარჩუნოთ, უნდა მივაღწიოთ მეცნიერულ-ტექნიკური წესების შესრულებასა და დაცვას“.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი იყო ლენინური „მიწის დეკრეტი“, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). ამ დეკრეტით ნაციონალიზებული იყო მთელი მიწა, აგრეთვე წიაღი, წყალი და ტყეები. „აუქმდა კერძო საკუთრება მთაზე. მიწელი მიწის, წიაღის, წყლის, ტყის ერთიანი მეგობაკუთრე საბჭოთა სახელმწიფო გახდა.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 6 ივნისის „მიწის დეკრეტით“ მიწა, წიაღი, წყალი, ტყე საქართველოს მშრომელთა საყოველთაო-სახალხ

საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის პროექტის შესახებ

(დასასრული)

ბრძანდა კარის IV თავში მოცემულია წიაღით სარგებლობის უფლების მოლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტის საფუძვლების დაწვრილებითი ნუსხა და განსაზღვრულია შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული სამთო ნაკვეთის გამოყოფის აქტის ან ნებართვის გაუქმების გზით წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი.

პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა წიაღის გეოლოგიური შესწავლის საკითხს (II კარი). საწარმოების, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ წიაღის გეოლოგიურ შესწავლას, ვალდებული არიან უზრუნველყონ წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა რაციონალური, მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულება და ეფექტიანობა. წიაღის გეოლოგიური შესწავლასა და სამთო სამრეწველო დასკვნების განსაზღვრისა და მათი სარგებელი წიაღისეულის მარაგის გაანგარიშებისათვის თვითეული სამადნო მიხედვით დაწესებულია მინერალური ნედლეულის კონდიციები. კოდექსში დადგენილია სამრეწველო ათვისებისათვის სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სამადნო ადგილსამყოფლები. ეს ლითონიანი და არალითონიანი ნედლეული თუ წიაღი ... სეგვი, ცემენტი და სხვა სამშენებლო მასალების საბადოები, თუ მინერალური და ორმელი წყლების გამოსაყენებლად. ამასთან ერთად, მომხსენებელმა წარმოადგინა საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის პროექტი, რომელიც მთლიანად ეფუძნებამება სსრ კავშირისა და ... კავშირის რესპუბლიკების წიაღის კანონმდებლობის საფუძველს. ეს პროექტი, რომელიც ... საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სესიას, წინასწარ განხილულ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის, საბრონმდებლო განრიგზე დაცვის მუდმივმა კომისიებმა.

კარგად მოგეხსენებათ, რა უხვი ... ბარეულია საქართველოს მიწა. რა არ მოდის აქ, როგორ საოცარ განთქმულია აქაური ყანა. თუ ვენახი, ჩაი თუ ხილი; ... ერთი იმდენი, თუ მეტი არა, ... ქვესანელია. ფიგურალურად გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ... შეიძლება ვუწოდოთ ქვესკ... ყანები და ბაღ-ვენახები. ... ბუნებრივ-ეკონომიურ ... ეფექტს ... ეფექტიან გამოყენებას ... ბუნებრივ რესურსებს. ... ეფექტიანობა ... ეფექტიანობა ... ეფექტიანობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო რამდენიმე ბრძანებულება, რომლებიც, რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

მეოთხე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში ახასიათებს საბჭოთა ხალხის დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, რომ გახახრკოვლოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გრანდიოზული წინასწარდასახულობანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, დასახა რა ამ დიდი პროპაგანდის განხორციელების კონკრეტული გზები, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება შრომის საყოფიერების ზრდასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ აღმავლობაზე, შრომის მართვის სრულყოფაზე.

სხვა მნიშვნელოვან ეკონომიურ და სოციალურ პრობლემებთან ერთად ამ საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ პლენუმზე თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცოცხალი შრომის რაციონალურ გამოყენებას, სამუშაო დროის დაზოგვას, კადრების დენაღობის შემცირებას, შრომითი კოლექტივების სტაბილიზაციას“.

სწორედ ამ მიმართულებით გატარებული ერთ-ერთი ღონისძიებაა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის გარდაქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკავშირო-რესპუბლიკურ კომიტეტად, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად განხორციელდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებით.

ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად საჭიროა შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცვლილებები შეიტანა აგრეთვე რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში.

კერძოდ, 1976 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით შეტანილია დამატება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლში. ამჟამად მოქმედი მუხლი განსაზღვრავს დაჯარიმების შესახებ აღმინისტრაციული ორგანოსა და თანამდებობის პირის დადგენილებაზე საჩივრის გამო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის წესს და არ შეიცავს მითითებას, თუ როგორ ხდება ასეთ გადაწყვეტილებათა განიხილვება და გაპროტესტება.

ახალი რედაქციით სასამართლო გადაწყვეტილება ასეთი კატეგორიის საქმეებზე საბოლოოა და არ განიხილვდება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტებულ იქნას პროკურორის მიერ.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 103-ე მუხლის დამატება შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს. პრეზიდიუმმა 1976 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულებით შეიტანა სათანადო დამატება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლში. ამ დამატების თანახმად გამოქვეყნებული ნაწარმოები შეიძლება გამოიცეს უსანათლოთათვის სპეციალური შრიფტით ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჯელოს გადაუხდელად, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოყენებული ნაწარმოები და ავტორის გვარი.

„შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულებით შეიტანა ცვლილება „აღმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-15 მუხლში. ამ მუხლის ახალი რედაქციით აღმინისტრაციული კომისიისათვის მიუმართავად აღმინისტრაციული წესით ჯარიმის დადების უფლება ენიჭებათ: შრომის სამართლებრივ ინსპექტორებს — შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის — და პროფკავშირთა საბჭოს ტექნიკურ ინსპექტორებს — შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის. წინათ დაჯარიმების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ტექნიკურ ინსპექტორებს — უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენებთა საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განვლო პერიოდში დანიშნა და გაათავისუფლა რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთი წევრი.

1976 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებით ამხ. ნოდარ გრიგოლის-ძე ვაშაძე დაინიშნა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად და ამ თანამდებობიდან გათავისუფლდა ამხ. არქიფო მირონის-ძე ლაბახუა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

1976 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით ამხ. შოთა ივანეს-ძე ჭალაგანიძე დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენებთა საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ზოგიერთი ცვლილება მოიახდინა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში. სახელდობრ: 1976 წლის 13 აგვისტოს ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვებულ იქნენ ამხანაგები ლამარა პროკოფის ასული სორდია-შევცოცა და ლამარა პარმენის ასული ასაკაძე, ხოლო 1976 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით — ამხ. ოთარ ნიკოლოზის-ძე ჭიპაშვილი. 1976 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებით ამხ. ეთერ მახეილის ასული ჩიქვინიძე გათავისუფლდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ კანონებისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა პროექტები ზემოაღნიშნულ საკითხებზე თქვენ ხელთა გაქვთ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ და დამტკიცოთ ისინი. (ტაში).

ჭადრაკი

დარჩა ერთი ტური

გუშინ ვ. ქარსელაძის მემორიალის უკანასკნელისწინა, მეთოთხმეტე ტურში უბილავამ მოუგო გედევანიშვილს, სტურუამ — მიქაძეს. კუზმინი-მიხალჩიშინი, გურგენიძე-ხოლმოვი და ლუტიკოვი-ანიკეევი ყაიმზე შეთანხმდნენ, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ახლა კვლავინდებურად ლიდერობს გურგენიძე, რომელსაც 9 ქულა აქვს. 8,5 ქულა მოიგროვეს ანიკეევმა და უბილავამ. გორგაძესა და ლერნერს 8-8 ქულა და თითო უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვთ.

ახალი ჩემპიონი

საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება პირველი ჯგუფის კოლქიმერეველს შორის ვადამდე მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდმა.

სტადიონებმა ფრედ—0:0 ითამაშეს ტყიბულის „მეშახტესთან“ და დახარჩენ მეტოქეთათვის მიუღებელი გახდნენ — 48 ქულა აქვთ 33 მატჩის შემდეგ.

შემოსვლა

ტალდეზს სიცოცხლე გამოსტანა

გადაუდებელად წვიმდა. ადიდებული ღელი ლიახვი ქვასა და ღორღს თავქვე მოაგორებდა. ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთიდან ძარწემის მიმართულებით გამმული სამარკაფო ხიდზე, რომელიც უყურადღებობის გამო ნახევრად დანგრეულია, შუადღისას მგზავრები — ცხინვალის საშოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტი ძარწემელი დალი გოგიძე და ძარწემში სტუმრად მიმავალი რუსთაველი გივი ნაჩანიძე გადიოდნენ.

შუა ხიდზე, სადაც ფოლადის გვარლებზე ფიცრები აყრილი იყო, ქაღალდივილს ფეხი დაუცდა და ისე გადავარდა აბობოქრებულ მდინარეში, რომ დაყვირებაც ვერ მოასწრო. მეორე ნაპირზე გასული ჩაჩანიძე მობრუნდა, თანამგზავრი ვეღარსად დალანდა და გაოცებუთმა მდინარეს გახედა. ხიდიდან ასიოდე მეტრის დაშორებით მან შეამჩნია განწირული ადამიანი, ხასწრაფოდ გაიძრო ტანსაცმელი და წყალს მიაშურა. ჯერ ნაპირ-ნაპირ გამოუდგა, მერე კი ციგ ტალღებში გადაეშვა და ცურვით წამოეწია გრძნობადაკარგულ ქალიშვილს, ხელი ჩაავლო და გაეჭირვებით გამოსტაცა ტალღებს. ნაპირთან მას მიეშველა წამოსწრებული ქურთელი კოლმეურნე ბაგრატ ბაკაურიძე. გონებადაკარგულ ქალიშვილს პირველი დახმარება აღმოუჩინეს და სოფელში აიყვანეს.

ა. დევიძე.

ავიაცია

გუშინ 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა. ტემპერატურა ბარში 18-20, მთაში 9-14 გრადუსი სითბო აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოშიც უნალექო ამინდი იყო, ტემპერატურა — ბარში 8-13 გრადუსი, ხოლო მთაში 7-12 გრადუსი. თბილისში 13 საათისათვის თერმომეტრი 10 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს ხანაპირთ რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, დასავლეთის ქარი, წამში 3-7 მეტრი სიძლიერისა. ტემპერატურა ბარში 11-16, მთაში 7-12 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადი მოღრუბლულობა, უნალექო ამინდი, იქროლებს დასავლეთის ქარი, წამში 3-7 მეტრი, ხოლო მტკვრის ხეობაში წამში 7-12 მეტრი სიძლიერისა. ტემპერატურა ბარში 20-15, ხოლო მთაში 6-11 გრადუსი იქნება.

თბილისში ცვალებად მოღრუბლულ უნალექო ამინდს უნდა მოველოდეთ. დაუბერავს ჩრდილო-დასავლეთის, წამში 3-7 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა 13-15 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი.

ხელბურთი

„ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს იღებს მეათე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. წლევანდელი შეჯიბრება ქართული ხელბურთის 20 წლის იუბილეს ეძღვნება. ამასთან ეს ასპარეზობა 1966 წლიდან ეწყობა და იგი ოფიციალურად არის შეტანილი ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში.

წლევანდელ ტურნირში მსოფლიოს რვა საუკეთესო გუნდი ითამაშებს: მიუნხენის XX ოლიმპიადის ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრები, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი რუმინეთის გუნდი, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ესპანეთის, მონრეალის XXI ოლიმპიადაში გამარჯვებული სსრ კავშირის ნაკრები, საქართველოს და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

მარშანდელ ტურნირში გარდამავალი პრიზი სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა იუგოსლავიის, მესამეზე — პოლონეთის გუნდი.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მეათე საიუბილეო საერთაშორისო ტურნირი 29 ნოემბრამდე გასტანს.

ფეხბურთი

დღეს ტურნირში

უეფა-ს თასის გათამაშების მეორედფინალის პირველი მატჩი გაიმართება დღეს ტურინში დინამოელის „შახტიორსა“ და იტალიის მრავალგზის ჩემპიონს „იუვენტუსს“ ტურინის შორის.

„იუვენტუსი“, რომელიც ცნობილია როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის ომარ სივორის კლუბი, სათავეში უდგას ქვეყნის მიმდინარე ჩემპიონატს. ამ გუნდში თამაშობენ ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არიან მეკარე ძოფი, ნახევარმცველი მარინი, თავდამსმელები კაპელო, ანსტაზი და სხვები, რომლებსაც არაერთხელ დაუცავთ იტალიის ნაკრების ღირსება.

„იუვენტუსისა“ და „შახტიორის“ დღევანდელი მატჩის (მეორე შეხვედრა გაიმართება 8 დეკემბერს საბჭოთა კავშირში) რეპორტაჟის გადმოცემას ცენტრალური ტელევიზია გთავაზობთ 23 საათსა და 25 წუთიდან თბილისის დროით.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ევროპის სამეფე საკლუბო ტურნირის წილისყრა გაიმართება ცურიხში გაისად 11 იანვარს, ხოლო მეოთხედფინალური მატჩები შედგება 2 და 16 მარტს.

მოკლედ

ჰიდაობა. ქალაქ კსტოვოში (ყორკის ოლქი) გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება სამბოში, რომელშიც 15 გუნდის 146 ფალავანი გამოდიოდა. საპატიო პრიზი ზეიდზედ მესამედ მოიპოვა რუსეთის ფედერაციის გუნდმა. მან გადაწყვეტ ორთაბრძოლაში სძლია უკრაინის გუნდს — 6,5:3,5. მესამე ადგილზეა ბელორუსიის ნაკრები, რომელმაც დაამარცხა საქართველოს, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

ციგურაობა. მოსკოველმა კონსტანტინე კოკორამ გაიმარჯვა ბერლინში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში „ცისფერი მახვილში“. ქალებში უძლიერესი იყო ანეტ პეტრი (გდრ), რომელსაც სახელგანთქმული კრისტინა ერატის მემკვიდრედ მიიჩნევენ. მოსკოველი მარინე ივნატოვა მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

წყალბურთი. თბილისში დახურულ საცურავ აუზში დამთავრდა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდებთან არსებული იუნიორ წყალბურთელთა ტურნირი, რომელსაც 7-12 ადგილების მფლობელნი უნდა გამოვლინებინა. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს თბილისის „დინამოს“ იუნიორთა გუნდმა 8:5 დაამარცხა დედაქალაქის „მოსკვიჩი“ და მეშვიდე ადგილზე გამოვიდა. პირველ წრეში თბილისელებმა გაიცვლებით სუსტად ისპარზეს და დაკარგეს უფლება ებრძოლათ ხაპრიზო ადგილებისათვის.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია

24 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური „ფილმი „გმირი, ლექსი, სიმღერა“, 11.00 — მეშვიდე კლასელთათვის — ფიზიკა, 11.30 — დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები გორკისთან“, 12.30 — მხატვრული ფილმი დასაწყისი“, 15.55 — „გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.40 — დოკუმენტური ფილმი, 17.10 — საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. II ტაიმი. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან, 17.40 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 18.25 — განცხადებები, 18.30 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 19.00 — „მეცნიერება — ახალგაზრდობას“ — სამთო მექანიკის ინსტიტუტში, 19.30 — კონცერტი, 20.05 — „მ.ოამბე“ — ხაინფორმაციო პროგრამა, 20.40— პირველად ჩვენს ეკრანზე იუგოსლავური მხატვრული ფილმი „ბრძოლა ნერეტვაზე“ I სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.50 — პირველად ჩვენს ეკრანზე კინონარკვევი „იან შვერინის გზა“, 19.10 — განცხადებები, 19.15 — დოკუმენტური ფილმი „ვასტანგოვი“, 20.35 — კინონარკვევი „ფეხმძიმე ქალის კვება“, 20.45 — მხატვრული ფილმი „აბა, შენ იცი!“.

თეატრები

24 ნოემბერი

კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური — ბგერითა ვარამი, ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — მოსაწყენი დღეების ქრონიკა.

ა. ი. ბუკია

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს რადიომაუწყებლობის მუსიკალურ გადაცემათა ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ალექსანდრე ივანეს-ძე ბუკია. იგი დაიბადა 1906 წელს ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. 1923 წელს დაამთავრა მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო სკოლა და მსახურობდა სამხედრო ჰიდროტექნიკოსად ქართულ დივიზიაში. მუსიკით გატაცებული ახალგაზრდა 1924-28 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში. წლების განმავლობაში მუშაობდა სიმღერის მასწავლებლად თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

1932 წელს ალ. ბუკია მუსიკალურ რედაქტორად მიიწვიეს საქართველოს რადიოკომიტეტში. აქედან მოყოლებული — სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი ერთგულად ემსახურებოდა მუსიკალური რადიომაუწყებლობის საქმეს, როგორც მთავარი რედაქტორი, ხოლო 1947 წლიდან — საქართველოს რადიოს მუსიკალური რედაქციის სამხატვრო ხელმძღვანელი.

სამამულო ომის წლებში ალ. ბუკია ნაყოფიერად მუშაობდა როგორც საქართველოს კინოსტუდიის მუსიკალური კონსულტანტი, დოკუმენტური ფილმების და კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ მუსიკალური გამფორმებელი. ნოყიერ ნიადაგზე ... ოსტატობისათვის ... ბის ... ...